

მიკრო და მაკრო ფაქტორების გავლენა შპმ
პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და
შრომით ეფექტურობაზე

კვლევის ანგარიში

ნაწილი I



**ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების მიხედვით დასაქმებული შპმ
პირების ზოგადი სურათი და სამუშაო პირობებისადმი მათი
დამოკიდებულებები**

თსუ გამომცემლობა, 2015



ანგარიშზე მოამზადეს:

ნანა სუმბაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თამარ მახარაძე, საჯარო პოლიტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თამარ აბაშიძე, ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ირინე ჟვანია, ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

სარჩევი

შესავალი.....	5
ნაწილი I.....	7
ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების მიხედვით დასაქმებული შპმ პირების ზოგადი სურათი	7
მონაცემების ანალიზი.....	7
შეჯამება.....	12
ნაწილი II.....	14
დამოკიდებულება სამუშაო პირობებისადმი	14
მეთოდი და რესპონდენტები.....	15
შეჯამება.....	20

შესავალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შპმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა ითვალისწინებდა იმ მიკრო და მაკრო ფაქტორების შესწავლას, რომლებიც გავლენას ახდენს შპმ პირების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და შრომით ეფექტურობაზე. კვლევა ჩატარდა „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული გამართივებული ტენდერის საფუძველზე (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 313505/59). კვლევითი პროექტი განხორციელდა ორი მიმართულებით: (1) რაოდენობრივი კვლევა - ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების მიხედვით დასაქმებული შპმ პირების ზოგადი სურათის შექმნა და სამუშაო პირობებისადმი მათი დამოკიდებულებების შესწავლა; (2) თვისებრივი კვლევა - საკვლევი თემის მიმართ შპმ პირთა, შპმ პირების დამსაქმებლებისა და სფეროს ექსპერტების დამოკიდებულებების შესწავლა.

წინამდებარე ანგარიში ეხება კვლევითი პროექტის პირველ მიმართულებას და მიზნად ისახავს ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების მიხედვით დასაქმებული შპმ პირების ზოგადი სურათის შექმნასა და სამუშაო პირობებისადმი მათი დამოკიდებულებების შესწავლას.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომელთა შეზღუდული შესაძლებლობა გამოწვეულია: (1) ფიზიკური, გადაადგილების პრობლემებით, (2) სენსორული პრობლემებით, (3) ინტელექტუალური პრობლემებით და/ან (4) ფსიქიკური პრობლემებით.

კვლევის ფარგლებში გაკეთებული შერჩევა ეყრდნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზას იმ საწარმოების შესახებ, სადაც შპმ პირები. თანამშრომლად ირიცხებიან აღნიშნულ ბაზაში სულ რეგისტრირებულია 6809 საწარმო, მათი ფილიალების ჩათვლით.

საწარმოთა მონაცემთა ბაზა შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- საწარმოს დასახელება;
- საწარმოს საკონტაქტო ინფორმაცია;
- საწარმოს საკუთრების ტიპი;
- საწარმოს საქმიანობის ტიპი;
- საწარმოს ზომა (დასაქმებულ პირთა რაოდენობა);

- შპმ პირთა რაოდენობა სანარმოში;
- დასაქმებული შპმ პირის შეზღუდვა: მკვეთრი (I ჯგუფი), მნიშვნელოვანი (II ჯგუფი) და ზომიერი (III ჯგუფი);

პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის უფლების დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, ბაზაში მითითებული არ არის შპმ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია; ბაზაში აღნიშნულია მხოლოდ შპმ პირის შეზღუდვის ხარისხი და არ არის მითითებული შეზღუდვის ტიპი. აღნიშნულმა ფაქტორებმა გაართულა კვლევისათვის სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირება.

კვლევის დაგეგმვისას გათვლისწინებული იქნა რესპონდენტთა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული სირთულეები, რის გამოც საბოლოოდ კვლევისათვის შერჩევის ზომად განისაზღვრა 750 სანარმო, სანარმოების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე განსაზღვრული იყო კვლევის თავდაპირველი დიზაინით (კერძოდ, რეპრეზენტატული შერჩევის შემთხვევაში, 3.4 % ცდომილება 95 პროცენტის სანდოობით, საკმარისი იქნებოდა 370 სანარმო).

კვლევაში შერჩევა მონაცემთა ბაზიდან განხორციელდა შემთხვევითი სისტემური შერჩევის პრინციპის გამოყენებით. მაქსიმალური გეოგრაფიული განფენილობის მისაღწევად სანარმოები დალაგდა რეგიონების მიხედვით და პირველი შემთხვევით არჩეული რიცხვის შემდეგ შერჩეულ იქნა ყოველი მეცხე სანარმო.

ნაწილი I

ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების მიხედვით დასაქმებული შპმ პირების ზოგადი სურათი

მონაცემების ანალიზი

კვლევის მონაცემები ეხება შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ყველა პირს, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, ბაზა არ იძლეოდა პერჩვაში შპმ პირთა შეზღუდვის ტიპის მიხედვით დიფერენციაციის შესაძლებლობას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 123, 607 შპმ პირია რეგისტრირებული, რაც საქართველოს მოსახლეობის 3,3% შეადგენს. შპმ პირთა ყველაზე დიდი წილი (4.8%) რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, ხოლო ყველაზე მცირე (2.3%) შიდა ქართლშია რეგისტრირებული. თბილისში 28,195 შპმ პირია რეგისტრირებული, რაც დედაქალაქის მოსახლეობის 2.5%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი #1. რეგიონების რანჟირება რეგისტრირებული შპმ პირების წილის მიხედვით

#	რეგიონი	შპმ პირთა წილი რეგიონის მოსახლეობაში %	შპმ პირთა რაოდენობა
1	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4.8	1,539
2	იმერეთი	4.3	24, 008
3	აჭარა	4.3	14,412
4	გურია	4.0	4,543
5	შიდა ქართლი	3.9	10,263
6	სამეგრელო-ზემო სვანეთი	3.8	12,737
7	კახეთი	3.3	10,684
8	სამცხე ჯავახეთი	2.9	4,728
9	მცხეთა-მთიანეთი	2.9	2,752
10	თბილისი	2.5	28,195
11	ქვემო ქართლი	2.3	9,746
	სულ	3.3	123,607

კვლევის ფარგლებში შესწავლილ 750 საწარმოში სულ დასაქმებულია 1,108 შპმ პირი. ბაზაში რეგისტრირებულ საწარმოთა ყველაზე დიდი წილი თბილისზე, შემდეგ კი აჭარასა და იმერეთზე მოდის (იხ. ცხრილი #2).


ცხრილი #2. ორგანიზაციების განაწილება რეგიონების მიხედვით

#	რეგიონი	საწარმოთა რაოდენობა	წილის % N= 680
1	თბილისი	393	57.8
2	აჭარა	65	9.6
3	იმერეთი	55	8.1
4	სამეგრელო-ზემო სვანეთი	38	5.6
5	კახეთი	34	5.0
6	ქვემო ქართლი	33	4.9
7	შიდა ქართლი	26	3.8
8	სამცხე-ჯავახეთი	15	2.2
9	მცხეთა-მთიანეთი	9	1.3
10	გურია	7	1.0
11	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5	0.7
	სულ	680	100

შენიშვნა : 70 ორგანიზაციის ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები არ მოიძებნება

შედეგები გვიჩვენებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა კლებულობს საწარმოს ზომის კლებასთან ერთად. შპმ პირთა ნახევარზე მეტი (55.2%) მსხვილ საწარმოშია დასაქმებული მაშინ, როდესაც მცირე საწარმოებში დასაქმებულთა წილი 14.2 პროცენტს არ აღემატება.

დასაქმებულთა ყველაზე დიდ ნაწილი (66.1%) მნიშვნელოვანი შეზღუდვის მქონე პირია (II ჯგუფი). დასაქმებულთა შორის 12.9% მკვეთრი შეზღუდვის მქონე პირია (I ჯგუფი), ხოლო 21.0 % ზომიერი შეზღუდვის მქონეა (III ჯგუფი) (იხ. დიაგრამა #1).




დიაგრამა #1. დასაქმებული შპმ პირების განაწილება შებენი ხარისხის მიხედვით

ცხრილი #3. დასაქმებული შპმ პირების რაოდენობა საწარმოს ზომისა და შებენი ხარისხის მიხედვით

№	საწარმოს ზომა	მსხვილი შებენი N=138	მნიშვნელოვანი შებენი N=710	ზომიერი შებენი N=227	შპმ პირები სულ	%
1	მსხვილი	67	373	154	594	55.2
2	საშუალო	46	235	47	328	30.6
3	მცირე	25	102	26	153	14.2
	სულ	138	710	227	1,075	
	%	12.8	66.0	21.2	100.0	100.0

შენიშვნა: 23 ორგანიზაციის ზომის შესახებ მონაცემები არ მოიძებნება



დიაგრამა #2. დასაქმებული შპმ პირების პროცენტული რაოდენობა საწარმოს ზომისა და შეზღუდვის ხარისხის მიხედვით

ჩვენს მიერ შესწავლილ საწარმოებში დასაქმებული შპმ პირების რაოდენობა განსხვავებულია და მათი რაოდენობა 1-დან 16-მდე მერყეობს, საშუალოდ საწარმოში 1.5 ადამიანი დასაქმებული ($SD=1.4$). საწარმოთა უმრავლესობაში (78.3%) მხოლოდ ერთი შპმ პირია დასაქმებული, 4-ზე მეტი შპმ პირი საწარმოთა 3.1 % მუშაობს (იხ. ცხრილი #4).

ცხრილი #4. დასაქმებულ შპმ პირთა რაოდენობა საწარმოებში

საწარმოში დასაქმებულ შპმ პირთა რაოდენობა	საწარმოთა რაოდენობა	წილი % N = 750
1	587	78.3
2	99	13.2
3	22	2.9
4	19	2.5
5-16	23	3.1
სულ	750	100

შპმ პირთა ყველაზე დიდ რაოდენობას ვხვდებით განათლების (20.2%), ვაჭრობისა (11.9%) და კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების (11.3%) სფეროებში.

ცხრილი #5. ეკონომიკური სექტორების რანჟირება დასაქმებულ შპმ პირთა წილის მიხედვით

რანგი	ეკონომიკის სექტორი	რაოდენობა	წილი %
1	განათლება	210	20.2
2	ვაჭრობა	124	11.9
3	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	116	11.3
4	დამამუშავებელი მრეწველობა	101	9.7
5	ოპერაციები უძრავი ქონებით	96	9.2
6	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	93	9.0
7	მშენებლობა	90	8.7
8	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	53	5.1
9	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება	44	4.2
10	საფინანსო საქმიანობა	41	3.9
11	სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა	29	2.8
12	სასტუმროები და რესტორნები	25	2.5
13	სამთომოპოვებითი მრეწველობა და დამამუშავება	8	0.8
14	სახელმწიფო მმართველობა	7	0.7
15	თევზჭერა	0	0
16	შინამომსახურების საქმიანობა და შინამეურნეობა	0	0
17	ექსტრატერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა	0	0
	სულ	1037	100

შენიშვნა: 19 საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მონაცემები არ მოიძებნა

მონაცემთა ანალიზი საწარმოს იურიდიული სტატუსის გათვალისწინებით გვიჩვენებს, რომ შპმ პირების ნახევარზე მეტი (58.6%) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (შპს) არის დასაქმებული. 15.7% საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოში მსახურობს, 12.9% არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიული პირის სტატუსის მქონე

ორგანიზაციაში მუშაობს, 8.9% - სააქციო საზოგადოებაში. ყველა სხვა ტიპის დანესებულებაში ერთად მხოლოდ 4.0 პროცენტი არის დასაქმებული (იხ. ცხრილი # 6).

ცხრილი #6. დასაქმებულ შპმ პირთა რაოდენობის რანჟირება სანარმოს იურიდიული სტატუსის მიხედვით

რანგი	სანარმოს იურიდიული სტატუსი	შპმ პირთა რ_ა	შპმ პირთა წილი %
1	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება"შპს"	648	58.6
2	საჯარო სამართლის იურიდიული პირი	174	15.7
3	არასამენარმეო არაკომერციული იურიდიული პირი	143	12.9
4	სააქციო საზოგადოება	99	8.9
5	ინდივიდუალური მენარმე	19	1.7
6	უცხოური სანარმოს ფილიალი	16	1.4
7	სახელმწიფო დანესებულება	6	0.5
8	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება"სპს"	2	0.2
9	ამხანაგობა	1	0.09
10	კომანდიტური საზოგადოება	0	0
11	კოოპერატივი	0	0
12	უცხოური არასამენარმეო იურიდიული პირის ფილიალი	0	
	სულ	1108	100

შენიშვნა: 15 დასაქმებული შემთხვევაში, სანარმოს იურიდიული სტატუსის შესახებ მონაცემები არ მოიძებნა

შეჯამება

ამგვარად, სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული ბაზის საფუძველზე, რომელშიც ყველა ის სანარმო არის რეგისტრირებული, სადაც ერთი შპმ პირი მაინც არის დასაქმებული, შემთხვევითი სისტემური შერჩევის მეთოდის გამოყენებით შეირჩა 750 სანარმო. მათი ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები სანდოა 3.4% ცდომილებით, რაც საშუალებას გვაძლევს მიღებული შედეგები 95 პროცენტის სანდოობით განვაზოგადოთ და დასკვნები საქართველოში არსებულ ვითარებაზე გავაკეთოთ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, შპმ პირთა ყველაზე დიდი წილი რეგიონის მოსახლეობასთან მიმართებაში რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, შემდეგ კი იმერეთსა და აჭარაშია. თბილისში შპმ პირთა წილი ქალაქის

მოსახლეობასთან მიმართებით არ არის დიდი. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზის ანალიზის მიხედვით, დასაქმებულ შპმ პირთა ნახევარზე მეტი თბილისში მუშაობს, დასაქმებულთა დაახლოებით ერთი მეათედი - აჭარაში და ამდენივე იმერეთში მუშაობს. დასაქმებულ შპმ პირთა შორის ყველაზე დიდია მნიშვნელოვანი შებენიერი მქონე პირთა წილი.

საწარმოთა მიხედვით, შპმ პირები უფრო ხშირად დიდ, შემდეგ საშუალო და ყველაზე იშვიათად მცირე საწარმოებში არიან დასაქმებული. იურიდიული სტატუსის მიხედვით ისინი უფრო ხშირად შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებებში (შპს), შემდეგ საჯარო სამართლის იურიდიული და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებში მუშაობენ. დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი განათლების, შემდეგ ვაჭრობისა და მომსახურების სფეროშია კონცენტრირებული. რაც შეეხება საწარმოში დასაქმებული შპმ პირთა რაოდენობას, ყველაზე ხშირად საწარმოში ერთი შპმ პირია დასაქმებული.

ნაწილი II

დამოკიდებულება სამუშაო პირობებისადმი

სამუშაო პირობებისადმი დასაქმებული შპმ პირების დამოკიდებულებების რაოდენობრივ კვლევაში სულ 280 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული საწარმოთა ბაზის საფუძველზე განხორციელებული შერჩევიდან შევძელით მხოლოდ 165 რესპონდენტის იდენტიფიცირება. ამ ზომის შერჩევის შემთხვევაში, შეფასებათა ცდომილება 95 პროცენტის სანდოობით 7.4%-ია. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 168 რესპონდენტიდან 44.6%-ის შეზღუდული შესაძლებლობა უკავშირდება ქრონიკულ დაავადებებს და არა გადაადგილების, სენსორული, ინტელექტუალური განვითარებისა და ფსიქიკური პრობლემებით გამონვეულ შეზღუდვას, რაც კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა რესპონდენტების რაოდენობის გაზრდა. შერჩევა შეივსო კვლევით პროექტში ჩართული რეგიონული კოორდინატორების მიერ მონოღებული სიით. პროექტის რეგიონულმა კოორდინატორებმა რეგიონების მიხედვით მოიძიეს დასაქმებული შპმ პირები (გადაადგილების, სენსორული, ინტელექტუალური და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები) და მათი თანხმობით ჩართეს ისინი რესპონდენტთა სიაში. რეგიონული კოორდინატორების მიერ მონოღებული იყო 115 რესპონდენტის საკონტაქტო ინფორმაცია.

რესპონდენტთა რეკრუტირებისათვის ორი პროცედურა იქნა გამოყენებული: (1) ბაზიდან შერჩეულ საწარმოთა შემთხვევაში, ინტერვიუები უკავშირდებოდნენ ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებს (ბაზაში მითითებულ ტელეფონის ნომრებზე) და სთხოვდნენ დახმარებას მათ ორგანიზაციაში დასაქმებულ შპმ პირთან დასაკავშირებლად. წარმატებული კომუნიკაციის შემთხვევაში, ინტერვიუები უშუალოდ შპმ პირებს უკავშირდებოდნენ, უხსნიდნენ კვლევის მიზანს და მონაწილეობაზე ზეპირი თანხმობის შემთხვევაში, იღებდნენ სატელეფონო ინტერვიუს; (2) პროექტის რეგიონული კოორდინატორების მიერ მონოღებული შპმ პირთა სიის შემთხვევაში, თავდაპირველად კოორდინატორები იღებდნენ შპმ პირისგან ინტერვიუზე თანხმობას და მხოლოდ ამის შემდეგ უკავშირდებოდნენ მათ ინტერვიუებში.

მოცემული კვლევა ეფუძნება შერჩევას, რომელსაც ხელმისაწვდომი შერჩევა ეწოდება. შერჩევის ეს ტიპი სოციალურ კვლევებში ფართოდ გამოიყენება არსებული ტენდენციების, პრობლემების თუ შეხედულებების აღსაწერად. მსგავსი კვლევების ძირითად შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ შედეგები არ შეიძლება განზოგადებული იყოს მთელ შესასწავლ ერთობლიობაზე. ამ მიზეზის გამო, ვერც ჩვენი კვლევის შედეგებს განვაზოგადებთ საქართველოში დასაქმებულ ყველა შპმ პირზე.

მეთოდი და რესპონდენტები

კვლევის დიზაინიდან¹ გამომდინარე კითხვარი მოკლე და მარტივი იყო, ის 12 კითხვისაგან შედგებოდა და 15-20 წუთი გრძელდებოდა.


საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ იქნა 280 რესპონდენტი. გამოკითხულთა 60.7%-ს კაცები, ხოლო 39.3% -ს ქალები წარმოადგენენ. რესპონდენტთა ასაკი – 20-დან 80 წლამდე, საშუალო ასაკი 43.5 წელია ($SD=12.9$).

გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (54.3%) მიღებული აქვს უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება, 22.3%-ს - საშუალო, 18.3% -ს - პროფესიული, ხოლო 5.0%-ს საბაზო ან მასზე ნაკლები განათლება აქვს.

შეზღუდვის ტიპი და ხარისხი


გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტთა შორის ყველაზე მეტს (43.2%) აღენიშნება ფიზიკური სახის შეზღუდვა, 35.0%-ს შპმ სტატუსი სომატური დაავადების გამო ჰქონდა მინიჭებული. (რესპონდენტებს შეეძლოთ აღენიშნათ იმდენი ტიპის შეზღუდვა, რამდენიც ჰქონდათ. რესპონდენტთა ნაწილის მრავლობითი შეზღუდვის გამო, პასუხების ჯამი 100 პროცენტს აღემატება) (იხ. დიაგრამა #1).

¹ კვლევა სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით ჩატარდა



დიაგრამა #1. რესპონდენტთა შეზღუდული შესაძლებლობის ტიპი (N=280)

გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტი მნიშვნელოვანი შეზღუდვის მქონე პირი გვხვდება (48.9%), შემდეგ მკვეთრი შეზღუდვის მქონე პირი (39.6%) და ყველაზე ცოტა - ზომიერი შეზღუდვის მქონე პირი (11.5%) (იხ. დიაგრამა #2).



დიაგრამა #2. რესპონდენტთა შეზღუდული შესაძლებლობების ხარისხი

დასაქმებულ შპმ პირების შეზღუდვის ხარისხი სხვადასხვა სიხშირით გვხვდება განსხვავებული შეზღუდვის ტიპის მქონე პირებთან. ფიზიკური შეზღუდვის და მხედველობის პრობლემების მქონე რესპონდენტთა შორის სჭარბობენ მკვეთრი შეზღუდვის მქონე პირები; სომატური დაავადებების, ფსიქიკური და ინტელექტუალური პრობლემების მქონე რესპონდენტებში უმრავლესობა არის მნიშვნელოვანი შეზღუდვის მქონე, ხოლო სმენის პრობლემების მქონე რესპონდენტების შემთხვევაში უმრავლესობას ზომიერი შეზღუდვის მქონე პირები წარმოადგენენ.

ცხრილი #1. რესპონდენტთა შეზღუდვის ტიპი და ხარისხი

შეზღუდვის ტიპი	მკვეთრი შეზღუდვა	მნიშვნელოვანი შეზღუდვა	ზომიერი შეზღუდვა	სულ
ფიზიკური შეზღუდვა N=116	50.9	38.8	10.3	100
სომატურ დაავადებებთან დაკავშირებული პრობლემები N=90	22.2	68.9	8.9	100
მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები N=39	66.7	20.5	12.8	100
ფსიქიკური პრობლემები N=10	0	10	0	100
ინტელექტუალური პრობლემები N=10	30	70	0	100
სმენასთან დაკავშირებული პრობლემები N=9	11.0	33.3	55.6	100


დასაქმებასა და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული საკითხები

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ძალიან განსხვავებულია რესპონდენტთა სამუშაო სტაჟი - იწყება ერთ წლამდე პერიოდით და გრძელდება 51 წლამდე. დასაქმების საშუალო ხანგრძლივობა 8.1 წელია (SD=10.2). რესპონდენტთა 47.2 % ორგანიზაციაში 5 წლამდე, 39.5% 6-დან 20-მდე, ხოლო 13.3% 21-დან 51 წლამდე მუშაობს.

უდიდეს უმრავლესობას (82.7%) შპმ პირის სტატუსი მოცემულ ორგანიზაციაში მუშაობის დაწყებამდე ჰქონდა მინიჭებული, 17.3%-მა კი ის მუშაობის დაწყების შემდეგ მიიღო.


გამოკითხულთა უმრავლესობა სამუშაო პირობებით კმაყოფილია (40.9%), ძალიან კმაყოფილია (24.4%) ან საშუალოდ კმაყოფილია (28.3%); ძალიან მცირეა (6.5%) უკმაყოფილოთა წილი.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (55.7%) მიუთითებს, რომ სამსახურში არავითარი პრობლემები არ აქვს. პრობლემების არარსებობაზე, სხვებზე მეტად, მიუთითებენ ფიზიკური (43.6%) და შემდეგ სომატური (35.9%) პრობლემის მქონე პირები. ბევრად უფრო მცირეა სხვა ტიპის შეზღუდვების მქონე პირთა წილი, ვინც აღნიშნავს, რომ სამსახურში არავითარი პრობლემა არ აქვს – მხედველობის პრობლემის მქონე პირების 9.6 %, სმენის პრობლემების 3.8 %, ინტელექტუალური პრობლემების მქონე პირთა 3.8 % და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა 3.3 % (იხ. დიაგრამა #3)



დიაგრამა #3. შეზღუდვის სხვადასხვა ტიპის მქონე რესპონდენტების სამსახურთან დაკავშირებული პრობლემების შეფასება

მათ, ვინც აღნიშნა, რომ სამსახურთან დაკავშირებით აქვთ გარკვეული პრობლემები (ასეთი 124 რესპონდენტია) საერთო ჯამში 163 პრობლემა დაასახელა. დასახელებული პრობლემები დაჯგუფდა განსაზღვრულ კატეგორიებად, რომლებიც მოცემულია დიაგრამაში #4. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე ხშირად დასახელებული იყო სამსახურამდე მისვლა და სამუშაო სივრცეში გადაადგილება.



დიაგრამა #4 . სამსახურთან დაკავშირებული პრობლემების ძირითადი კატეგორიები (N=164)

პრობლემათა კატეგორიაში „სხვა“ ერთიანდება რესპონდენტების მიერ დასახელებული განსხვავებული პრობლემები. რესპონდენტები ყველაზე ხშირად ასახელებენ: ფინანსურ (14 პასუხი) და გარემოს ადაპტაციასთან (8 პასუხი), საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობასთან (7 პასუხი) და ტრანსპორტთან (5 პასუხი) დაკავშირებულ პრობლემებს.

აღმოჩნდა, რომ სამსახურთან დაკავშირებით, ყველაზე მეტად პრობლემების არსებობის შესახებ აღნიშნავენ ფიზიკური შეზღუდვისა (54.9%) და სომატური დაავადების მქონე პირები (23.8%); შემდეგ მხედველობის (8.5%), ფსიქიკური (5.5%), ინტელექტუალური (4.3%) და სმენის (3.0%) პრობლემების მქონე პირები

რესპონდენტების მიერ დასახელებული პრობლემების მსგავსებასთან ერთად, ასევე გამოიკვეთა განსხვავებაც. სხვადასხვა ტიპის შეზღუდვის მქონე პირები განსხვავებულ პრობლემებს ასახელებენ. ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებისათვის ძირითად პრობლემას სამსახურში მისვლა და იქ გადაადგილება წარმოადგენს. სომატური პრობლემების მქონე პირები ძირითადად მატერიალურ პირობებს უჩივიან, მხედველობის პრობლემების მქონე პირები

ხშირად საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობასა და ამასთან დაკავშირებულ სამუშაოს შესრულების სიძნელეებზე მიუთითებენ, ისინი ასევე ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებსაც ასახელებენ; ფსიქიკური პრობლემებისა და ინტელექტუალური პრობლემების მქონე ადამიანებისათვის სიძნელეს სამსახურამდე მისვლა და ხელფასის სიმცირე წარმოადგენს. სმენის პრობლემების მქონე პირებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემა სამსახურში მისვლაა.

შეჯამება

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას შპმ სტატუსი მუშაობის დაწყებამდე ჰქონდა მინიჭებული, შესაბამისად, შეზღუდვას მათთვის ხელი არ შეუშლია მუშაობის დაწყებაში.

გამოკითხულთა უმრავლესობა, მართალია სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ მაინც კმაყოფილებას გამოთქვავს სამუშაო პირობებით.

სამსახურში პრობლემებს არ აწყდება ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთა ნახევარზე მეტი და სომატური დაავადებით გამონვეული შეზღუდვის მქონე პირთა მეოთხედი. სამსახურთან დაკავშირებული პრობლემებიდან რესპონდენტთა ყველაზე მეტი წილი მიუთითებს სამსახურამდე მისვლის, ორგანიზაციაში გადაადგილებასა და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ბევრმა რესპონდენტმა კითხვაში მოცემული პასუხების გარდა შეარჩია პასუხის კატეგორია “სხვა”. ამ კატეგორიაში ყველაზე ხშირად დასახელებული იყო ხელფასი და სამუშაოს შესრულებისას საკუთარი ფიზიკური მდგომარეობით გამონვეული სიძნელეები. განსხვავებული შეზღუდვის ტიპის პირებმა წინ განსხვავებული პრობლემები წამოსწიეს. ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებისათვის ეს სამსახურში მისვლა და იქ გადაადგილებაა, სომატური დაავადებებით გამონვეული შეზღუდვის მქონე პირებისათვის უპირველეს პრობლემას ხელფასის სიმცირე წარმოადგენს, მხედველობის პრობლემების მქონე პირებს, მხედველობის მდგომარეობიდან გამომდინარე, უჭირთ სამუშაოს შესრულება და ტრანსპორტირება, ინტელექტუალური და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისათვის მწვავედ დგას ხელფასის სიმცირის საკითხი და სამსახურამდე მისვლა, სმენის პრობლემების მქონე პირებისთვის უფრო მეტად სამსახურში მისვლა წარმოადგენს პრობლემას.